ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 02-22/116

ქალაქი ბათუმი 22.05.2023 წელი

ერთი მხრივ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, ს/ნ 245675880 (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ჯემალ გვეტაძის სახით და მეორე მხრივ შპს „ეკონათება“, საიდენტიფიკაციო კოდი 445471132, მის: ქ.ბათუმი, ბარათაშვილის 36, მომსახურე ბანკი ს/ს “საქართველოს ბანკი”, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ნ GE16BG0000000563907500, წარმოდგენილი მისი დირექტორის შორენა თავდგირიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუქტის ,,ს[1]“ ქვეპუქტის და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის მეურნის რამაზ ანანიძის, 2023 წლის 10 მაისის №02-26/1520 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2023 წლის 10 ივნისისა, შემსყიდველს მიაწოდოს ფასების ცხრილიოთ (დანართი) გათვალისწინებული საქონელი (CPV 24900000 - სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტები; 31200000 - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა; 31300000 - იზოლირებული მავთული და კაბელი; 31600000 - ელექტრომოწყობილობები და აპარატურა; 42100000 - დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის; 44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები; 44400000 - სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები; 44500000 - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები; 44800000 - საღებავები, ლაქები და მასტიკები).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სრული ღირებულება შეადგენს 1351 (ათას სამას ორმოცდათერთმეტი) ლარს გადასახადების ჩათვლით, მათ შორის:
3.1.1. CPV 24900000 – 151 ლარი;
3.1.2. CPV 31200000 – 350,5 ლარი;
3.1.3. CPV 31300000 – 266 ლარი;
3.1.4. CPV 31600000 – 10 ლარი;
3.1.5. CPV 42100000 – 79 ლარი;
3.1.6. CPV 44100000 – 141,5 ლარი;
3.1.7. CPV 44400000 – 58 ლარი;
3.1.8. CPV 44500000 – 288 ლარი;
3.1.9. CPV 44800000 – 7 ლარი;
3.2 <u>დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი;</u>

4. მიწოდების ადგილი, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
4.2 საქონლის მიღება განხორციელდება, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, ღირებულებისა და მოცულობის მითითებით გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის ან/და სხვა შესაბამისი საგადასახდო დოკუმენტის გაფორმების საფუძველზე.
4.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.
4.5. მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი.

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მომწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით ეროვნულ ვალუტაში.
5.2. ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად 10 დღის განმავლობაში.

6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების არსებული სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.
6.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს მაუწყებლის თანამშრომელი რიხარდ გიორგაძე.
7.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.
8.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, რაც გამოწვეული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების 11.1. პუნქტიდან, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
9.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
9.4. 9.3. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

13.5. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

13.6. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე დასტურდება, რომ შემსყიდველის წარმომადგენელს (ჯემალ გვეტაძე) არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი მომწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

15. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ჯემალ გვეტაძე	შორენა თავდგირიძე
Jemal Gvetadze Digitally signed by Jemal Gvetadze Date: 2023.05.22 14:17:39 +03'00'	Shorena Tavdgiridze Digitally signed by Shorena Tavdgiridze Date: 2023.05.22 16:52:16 +04'00'

1	სილიკონის საპოხი - პოლიურეთ. მასტიკი - შავი 280m(akfix)	24951120	ცალი	7	16	112
2	წებოები - MDF წებო 400მლ + 100gr (akfix)	24910000	ცალი	1	15	15
3	წებოები - MDF წებო 400მლ + 90gr (bull)	24910000	ცალი	2	12	24
	სულ	**24900000**				**151**
1	შტეფსელები და ჩანგლები - "სტელსი" ვილკა (შ) კუთხის/ბრტყელი EKF 16A	31224100	ცალი	2	5	10
2	გამანაწილებელი (შემაერთებელი) კოლოფები - BR-731 კოლოფი 100*100*45	31224700	ცალი	10	2	20
3	შტეფსელები და ჩანგლები - ვისაჟე დამიწებით როზეტი	31224100	ცალი	10	6	60
4	ამომრთველები - ამომრთველი SF ISOLATION SWITCH 3P*100 WHITE	31211310	ცალი	1	45	45
5	ამომრთველები - ამომრთველი პვ-3	31211310	ცალი	15	8,5	127,5
6	ტერმინალები - სადენის გადასაბმელი ბლოკი ხრახნ 4P 15A/600V1 5MM 10ც	31224500	ცალი	1	1	1
7	შემაერთებელი და საკონტაქტო ელემენტები - სჭვალი თვითმჭრელი 35*030 ხეზე	31224000	ცალი	300	0,05	15
8	ამომრთველები - OTOMAT LEGRAND 2X50 ელ. ამომრთველი	31211310	ცალი	1	55	55
9	შემაერთებელი ბლოკები - ელ. ფითინგი KCD2-302/N	31224300	ცალი	1	5	5
10	ამომრთველები - OTOMAT LEGRAND 1X40 ელ. ამომრთველი	31211310	ცალი	1	12	12
	სულ	**31200000**				**350,5**
1	საშუალო ძაბვის კაბელი - ელ. კაბელი 3*2,5	31321220	მეტრი	70	3,8	266
	სულ	**31300000**				**266**
1	საიზოლაციო ლენტი - TOLSEN TOL476-38024 საიზოლაციო ლენტა 15მ (თეთრი)	31651000	ცალი	2	2	4
2	საიზოლაციო ლენტი - KEENGROSS - საიზოლაციო ლენტი შავი19მმ*20	31651000	ცალი	2	3	6
	სულ	**31600000**				**10**
1	ონკანის ნაწილები - ლითონის გადამყვანი 1/2*1/2	42132200	ცალი	2	2	4
2	ონკანის ნაწილები - შემრევი ონკანის ნაწილი 33-415	42132200	ცალი	1	20	20

3	მომჭერები - ხამუთი 7 2-550	42141500	შეკვრა	1	30	30
4	ონკანის ნაწილები - შემრევი ონკანის ნაწილი 33-399	42132200	ცალი	1	15	15
5	ონკანის ნაწილები - გრძელცხვირა 6 (2ფერში) (ORIENT)	42132200	ცალი	1	10	10
	სულ	**42100000**				**79**
1	შლანგები - შლანგი მეტალის ნაქსოვი 120სმ	44165100	ცალი	2	12	24
2	ლურსმნები - სწრაფი მონტაჟიოს დუბელი 6*35	44192200	ცალი	100	0,08	8
3	მუხლები, სამკაპები და მილების არმატურა - პლასტმასის სამკაპი T20	44167300	ცალი	1	0,5	0,5
4	მილები - პლასტმასის მილი ცივი წყლის 20*3,4 PN25 SDR6	44163100	მეტრი	4	3	12
5	ქლორვინილის ქაფი - ქაფი ANTIA 300ML PU FOAM	44192100	ცალი	5	10	50
6	შლანგები - შლანგი მეტალის ნაქსოვი 90სმ	44165100	ცალი	2	8	16
7	ლურსმნები - დუპელ-ლურსმანი 6*35 (100ც) 6*35	44192200	შეკვრა	100	0,08	8
8	ლურსმნები - გაშლილი დუბელი 10*50 ლურჯი	44192200	ცალი	100	0,1	10
9	შლანგები - ლითონის ელასტიური შლანგი 1/2*1/2 90სმ/code q-32)	44165100	ცალი	1	10	10
10	კონსტრუქციის სამონტაჟო ელემენტები - e9606 პაკლი	44115000	ცალი	1	3	3
	სულ	**44100000**				**141,5**
1	სანტექნიკური მოწყობილობები - ლითონის საშხაპე კარნიზი 110*200/90014-20	44411000	ცალი	1	15	15
2	წებოვანი ლენტები - წებოვანი ლენტი E90004 44*30მ	44424200	ცალი	1	3	3
3	ონკანები - ონკანი 5011COT	44411100	ცალი	1	35	35
4	წებოვანი ლენტები - ორმაგი სკოჩი 2	44424200	ცალი	1	5	5
	სულ	**44400000**				**58**
1	კავიანი საკეტები, საკეტის ნაწილები და გასაღებები - გასაღების ნაკრები 28 PCS მეტალის ZOX 954	44522000	ცალი	1	20	20
2	ჩადგმული საკეტები - ფანჯრის ჩამკეტი 3	44521100	ცალი	2	4	8
3	ბურღები - ბურღი E9811 4მმ	44512910	ცალი	4	2	8
4	ბურღები - TOLSEN TOL1442-75505 ელექტრო ბურღის საცვლელი პირი მეტალის (სვერლო)	44512910	ცალი	1	5	5
5	სხვადასხვა სახის ბოქლომები და საკეტები - საკეტის მექანიზმი 58	44521000	ცალი	2	15	30
6	ბურღები - TOLSEN TOL630-75144 ელექტრო ბურღი COBALT 3.0MM	44512910	ცალი	1	5	5
7	საკეტები, გასაღებები და ანჯამები - ჩამკეტი 4	44520000	ცალი	5	5	25

8	საკეტების ნაწილები - საკეტის გულანა ზაშოლ 70მმ-7აბ	44522400	ცალი	1	20	20
9	თვითმჭრელი ხრახნები - სჭვალი თვითმჭრელი 35*025 ხეზე	44531300	ცალი	65	0,05	3,25
10	თვითმჭრელი ხრახნები - სჭვალი თვითმჭრელი 35*030 ხეზე	44531300	ცალი	35	0,05	1,75
11	თვითმჭრელი ხრახნები - სჭვალი თვითმჭრელი 35*060 ხეზე	44531300	ცალი	50	0,08	4
12	კარის საკეტები - კარის საკეტი	44521110	ცალი	2	25	50
13	კარის საკეტები - კარის საკეტი 061	44521110	ცალი	1	50	50
14	საკეტების ნაწილები - საკეტის გულანა 90მმ	44522400	ცალი	1	20	20
15	სახრახნისები - TOLSEN TOL38-20007 სახრახნისი მეტალის რეზინის სახელურით PH1*100MM	44512800	ცალი	1	4	4
16	სახრახნისები - TOLSEN TOL38-20003 სახრახნისი მეტალის რეზინის სახელურით 55*100MM	44512000	ცალი	1	4	4
17	ხელის ხელსაწყოები - TOLSEN TOL1558-43052 სილიკონის პისტოლეტი	44511000	ცალი	1	30	30
	სულ	**44500000**				**288**
1	საღებავები - სპრეი საღებავი	44810000	ცალი	1	7	7
	სულ	**44800000**				**7**
	ჯამი					**1351**

მიმწოდებელი:

შპს "ეკონათება" დირექტორი

შორენა თავდგირიძე

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
დირექტორის მოადგილე
ჯემალ გვეტაძე

Jemal Gvetadze

Digitally signed by Jemal Gvetadze
Date: 2023.05.22 14:18:10 +03'00'